საიდ. N 77596/03

IR 1205729

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №118-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ა. დალაქიშვილი გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ჰიუნდაი ვია კორპორეიშენ“ (HYUNDAI WIA Corporation) (მის.: 153, ჯეონგდონგ-რო, სეონგსან-გუ, ჩანგვონ-სი, გიეონგსანგნამ-დო; კორეის რესპუბლიკა; 153, Jeongdong-ro, Seongsan-gu, Changwon-si, Gyeongsangnam-do, Republic of Korea) N118-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 27 აპრილის N1572/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7, მე-9 და მე-12 კლასების საქონლის განცხადებული

ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729)

დაცვის მინიჭება, ასევე მე-7, მე-9 და მე-12 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 27 აპრილის N1572/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) მსგავსია კომპანიის „ჰიუნდაი კორპორეიშენ (კრ)“ (Hyundai Corporation (KR)) სახელზე მე-7 და მე-12 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვალის მიმართ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნისა „HYUNDAI“ (რეგ. N17425, რეგ.თარიღი: 23/04/2007), კომპანიის „ჰიუნდაი ჰევი ინდასტრის კო., ლტდ. (კრ)“ (Hyundai Heavy Industries Co., Ltd. (KR)) სახელზე მე-7 და მე-12 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნებისა „HYUNDAI HEAVY INDUSTRIES CO.,LTD“ (რეგ. N 1095003, რეგ.თარიღი: 11.07.2011) და „HYUNDAI HEAVY INDUSTRIES CO.,LTD.“ (რეგ. N 910292, რეგ.თარიღი: 24.10.2006), კომპანიის „ჰიუნდაი მოტორ კომპანი (კრ)“ (HYUNDAI MOTOR COMPANY (KR)) სახელზე მე-7, მე-9 და მე-12 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული შემდეგი სასაქონლო ნიშნებისა: „HYUNDAI SANTA FE“ (რეგ. N13576, რეგ.თარიღი: 30.10.2000), „HYUNDAI H-1“ (რეგ. N 9428, რეგ.თარიღი: 25.05.1998), „HYUNDAI COUPE“ (რეგ. N 6615, რეგ.თარიღი: 3.09.1997), „HMC HYUNDAI“

(რეგ. N11210, რეგ.თარიღი: 02.12.1998), „HYUNDAI“ (რეგ. N2188, რეგ.თარიღი: 30.05.1996), „HYUNDAI H100“ (რეგ. N10367, რეგ.თარიღი: 19.08.1998), „HYUNDAI BlueDrive“ (რეგ. N19178, რეგ.თარიღი: 30.03.2009), „HYUNDAI iX35“ (რეგ. N 19287, რეგ.თარიღი: 29.04.2009), „HYUNDAI iX45“ (რეგ. N19288, რეგ.თარიღი: 29.04.2009), „HYUNDAI iX55“ (რეგ. N19289, რეგ.თარიღი: 29.04.2009), „HYUNDAI i20“ (რეგ. N19474, რეგ.თარიღი: 29.06.2009), „HYUNDAI i40“ (რეგ. N19475, რეგ.თარიღი: 29.06.2009), „HYUNDAI iContact“ (რეგ. N21825, რეგ.თარიღი: 29.09.2011), „HYUNDAI Drive your way“ (რეგ. N 864525, რეგ.თარიღი: 09.03.2005), „HYUNDAI i30“ (რეგ. N919520, რეგ.თარიღი: 28.02.2007), „HYUNDAI i10“ (რეგ. N 939240, რეგ.თარიღი: 21.09.2007), „HYUNDAI ione“ (რეგ. N1049154, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI i45“ (რეგ. N 1049156, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI i35“ (რეგ. N 1049157, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI i25“ (რეგ. N1049159, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI iContact“(რეგ. N 1050708, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix15“ (რეგ. N 1056919, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix20“ (რეგ. N1056920, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix25“ (რეგ. N 1056921, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix30“ (რეგ. N1056922, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI NEW THINKING. NEW POSSIBILITIES“ (რეგ. N 1068746, რეგ.თარიღი: 05.11.2010) და კომპანიის „ჰიუნდაი ელექტრიკ კომპანი ლიმიტიდ (სნ)“ (Hyundai Electric Company Limited (CN)) სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნისა „HYUNDAI“ (რეგ. N17549, რეგ.თარიღი: 11.06.2007). სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ჟღერადობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იქმნება სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, რაც ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) რეგისტრაციაზე ნაწილობრივად უარის თქმის საფუძველს (მე-7, მე-9 და მე-12 კლასები).

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვის მინიჭებაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში აყენებს მოთხოვნას მე-7 კლასის შეზღუდვის შესახებ, რომლის მიხედვითაც მე-7 კლასის მიმართ საქონლის შეზღუდული ჩამონათვალია: „საწნეხი მანქანები; საბურღი პერფეტრატორები 10კვტ-ზე ზევით; ლაზერული დამუშავების (სამუშაო) მანქანები; რობოტები; საფრეზავი ჩარხები; წევის ძრავები, სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებლების გარდა; ზეთის ჰიდრავლიკური წნეხები; ამწეები; დამმუშავებელი ცენტრები; საბურღი ჩარხები; სახარატო ჩარხები; (ხის ნაკეთობებზე სამუშაოს გარდა); სამრეწველო დანიშნულების კუთხვილის ამოსაჭრელი მანქანები; ელექტრული მოტორები თვითმფრინიავებისათვის; გაზოლინის ტუმბოები გაზგასამართებისთვის; რელსზე მოძრავი მექანიკური ამწევი კონვეიერები; კონვეიერები (მანქანები); გორგოლაჭიანი კონვეიერები; ლენტური კონვეიერები; დაწყობის მანქანები; ჯაჭვური კონვეიერები; კონვეიერების ხაზები; დატვირთვა-განტვირთვის მანქანები; წნეხები (სამრეწველო დანიშნულების მანქანები); ჩარხები სამრეწველო მიზნებისათვის; მექანიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ჰიდრავლიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ლაზერული საჭრელი მანქანები; საშტამპავი წნეხები; ჟანგბადით საჭრელი მოწყობილობები; საგლინი დგანები; ცხელი წებვის პისტოლეტები; ავტომატური მანიპულატორები (მანქანები); მაღალი ვაკუუმის ინექციური მანქანები; ლაზერული მარკირების მანქანები; სამრეწველო მარკირების მანქანები: გრანულირების მანქანები ავტომობილის დამუშავებისათვის; მანაწილებელი ლილვები.“ (Machine presses; drilling machine over 10KW; laser processing [working] machines; robots; milling machines; driving motors other than for vehicles; oil hydraulic presses; cranes; machining centers; boring machines; lathes (except for woodworking); tapping machines for industrial purpose; electric motors for aircrafts; gasoline pumps for gas stations; mechanical railed lifting conveyors;

conveyors (machines); roller conveyors; belt conveyors; stacking machines; chain conveyors; conveyor lines; loading and unloading machines; presses (machines for indu strial purposes); machine tools for industrial purpose; mechanical presses for metalworking; hydraulic presses for metalworking; laser cutting machines; blanking presses; oxygen cutting devices; rolling mills; hot adhesive guns; automatic handling machines [manipulators]; high vacuum injection machines; laser marking machines; industrial marking machines; granulating machines for automobile processing; camshafts)

აპელანტის განმარტებით, კომპანიები „ჰიუნდაი კორპორეიშენ (კრ)“ (Hyundai Corporation (KR), „ჰიუნდაი ჰევი ინდასტრის კო., ლტდ. (კრ)“ (Hyundai Heavy Industries Co., Ltd. (KR)) და „ჰიუნდაი მოტორ კომპანი (კრ)“ (HYUNDAI MOTOR COMPANY (KR)) არიან აპელანტი კომპანიის მონათესავე კომპანიები, აღნიშნულის დასადასტურებლად, აპელანტმა სააპელაციო პალატას წარმოუდგინა კომპანიების „ჰიუნდაი კორპორეიშენ (კრ)“ (Hyundai Corporation (KR), „ჰიუნდაი ჰევი ინდასტრის კო., ლტდ. (კრ)“ (Hyundai Heavy Industries Co., Ltd. (KR)) და „ჰიუნდაი მოტორ კომპანი (კრ)“ (HYUNDAI MOTOR COMPANY (KR)) მიერ გაცემული დეკლარაციები, რომლის თანახმად, სამივე კომპანია წარმოადგენს ერთ სამრეწველო ჯგუფში შემავალ სუბიექტებს. კომპანიები აცხადებენ თანხმობას, რომ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) კომპანიის „ჰიუნდაი ვია კორპორეიშენ“ (HYUNDAI WIA Corporation) სახელზე მიენიჭოს დაცვა საქართველოში განცხადებული მე-9, მე-12, მე-13, და 37-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ და მე-7 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის მიმართ: „საწნეხი მანქანები; საბურღი პერფეტრატორები 10 კვტ-ზე ზევით; ლაზერული დამუშავების (სამუშაო) მანქანები; რობოტები; საფრეზავი ჩარხები; წევის ძრავები, სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებლების გარდა; ზეთის ჰიდრავლიკური წნეხები; ამწეები; დამმუშავებელი ცენტრები; საბურღი ჩარხები; სახარატო ჩარხები; (ხის ნაკეთობებზე სამუშაოს გარდა); სამრეწველო დანიშნულების კუთხვილის ამოსაჭრელი მანქანები; ელექტრული მოტორები

თვითმფრინიავებისათვის; გაზოლინის ტუმბოები გაზგასამართებისთვის; რელსზე მოძრავი მექანიკური ამწევი კონვეიერები; კონვეიერები (მანქანები); გორგოლაჭიანი კონვეიერები; ლენტური კონვეიერები; დაწყობის მანქანები; ჯაჭვური კონვეიერები; კონვეიერების ხაზები; დატვირთვა-განტვირთვის მანქანები; წნეხები (სამრეწველო დანიშნულების მანქანები); ჩარხები სამრეწველო მიზნებისათვის; მექანიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ჰიდრავლიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ლაზერული საჭრელი მანქანები; საშტამპავი წნეხები; ჟანგბადით საჭრელი მოწყობილობები; საგლინი დგანები; ცხელი წებვის პისტოლეტები; ავტომატური მანიპულატორები (მანქანები); მაღალი ვაკუუმის ინექციური მანქანები; ლაზერული მარკირების მანქანები; სამრეწველო მარკირების მანქანები: გრანულირების მანქანები ავტომობილის დამუშავებისათვის; მანაწილებელი ლილვები.“ (Machine presses; drilling machine over 10KW; laser processing [working] machines; robots; milling machines; driving motors other than for vehicles; oil hydraulic presses; cranes; machining centers; boring machines; lathes (except for woodworking); tapping machines for industrial purpose; electric motors for aircrafts; gasoline pumps for gas stations; mechanical railed lifting conveyors; conveyors (machines); roller conveyors; belt conveyors; stacking machines; chain conveyors; conveyor lines; loading and unloading machines; presses (machines for indu strial purposes); machine tools for industrial purpose; mechanical presses for metalworking; hydraulic presses for metalworking; laser cutting machines; blanking presses; oxygen cutting devices; rolling mills; hot adhesive guns; automatic handling machines [manipulators]; high vacuum injection machines; laser marking machines; industrial marking machines; granulating machines for automobile processing; camshafts).

აპელანტის აზრით, ზემოაღნიშნული დეკლარაციების არსებობის პირობებში, კომპანიების „ჰიუნდაი კორპორეიშენ (კრ)“ (Hyundai Corporation (KR), „ჰიუნდაი ჰევი ინდუსტრის კო., ლტდ. (კრ)“ (Hyundai Heavy Industries Co., Ltd. (KR)) და „ჰიუნდაი მოტორ კომპანი (კრ)“ (HYUNDAI MOTOR COMPANY (KR)) კუთვნილი სასაქონლო ნიშნების მიმართ, აღარ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნისთვის „HYUNDAI

WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

რაც შეეხება კომპანიის „ჰიუნდაი ელექტრიკ კომპანი ლიმიტიდ (სნ)“ (Hyuindai Electric Company Limited (CN)) სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნის „HYUNDAI“ (რეგ. N17549, რეგ.თარიღი: 11.06.2007) და განცხადებული სასაქონლო ნიშნის მსგავსებას, აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება გრაფიკული, სემანტიკური და ფონეტიკური კრიტერიუმებით.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტებისაგან. სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი შედგება 2 სიტყვიერი ელემენტისგან, რომელიც შესრულებულია ლათინური ანბანით, ლურჯ და წითელ ფერებში და სქელი გამოყოფის ფუნქციის გამოყენებით. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვიერი ელემენტი ბევრად დიდია პირველთან შედარებით, რის შედეგადაც მომხმარებლის ყურადღება ნიშნის აღქმისას კონცენტრირდება მეორე, დომინანტ ელემენტზე და ამით მიუთითებს განცხადებულ სასაქონლო ნიშანში გრაფიკული ცენტრის არსებობაზე. ნიშნის გრაფიკული ნაწილის სახით წარმოდგენილია წითელი ოთხკუთხედის სურათი, რომელიც მდებარეობს პირველ და მეორე სიტყვიერ ელემენტებს შორის. ვიზუალური აღქმისას აღნიშნული ელემენტი შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც კვადრატული წერტილი პირველი სიტყვიერი ელემენტის შემდეგ ან ორიგინალურად გაფორმებული წერტილი მეორე სიტყვიერი ელემენტის შემცველი - „i“ ასოს ზევით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ჰიუნ-დაი-ვ ი -ა“. ნიშანი შედგება 4 მარცვლისა (2 დახურული, 2 ღია) და 9 ბგერისაგან (4 ხმოვანი, 5 თანხმოვანი). ამასთან, მახვილი მოდის მე–2 და მე–3 მარცვლებზე. თანხმოვანი ბგერებისა და ღია მარცვლების სიჭარბის გამო, განცხადებული სასაქონლო ნიშნის გამოთქმა ხასიათდება არტიკულაციითა და მელოდიურობით. სემანტიკურ ჭრილში განცხადებული აღნიშვნა წარმოადგენს

საფირმო დასახელებას და აპელანტის ლოგოტიპს - „HYUNDAI WIA Corporation (KR)“, რომელიც არის კომპანიის „ჰიუნდაი“ (Hyundai) ჯგუფის წევრი. აპელანტი კომპანია წარმოადგენს ავტონაწილების სიდიდით მეორე მწარმოებელს სამხრეთ კორეაში. აპელანტის მარკეტინგული კონცეფციის ფარგლებში, ლურჯი ფერი ნიშნის გაფორმებაში განასახიერებს კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობასა და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. წითელი ფერი კი განასახიერებს აპელანტი კომპანიის აქტიურ საქმიანობასა და მუდმივ სრულყოფას. ამრიგად, განმცხადებელი კომპანიის ინდივიდუალური მახასიათებლების და უნიკალური კონცეფციის არსებობისა და ასევე, საფირმო დასახელების გამოყენების გამო, განცხადებული სასაქონლო ნიშანი მიუთითებს საქონლის მწარმოებელზე და ამით უზრუნველყოფს განცხადებული სასაქონლო ნიშნის ინდივიდუალობას მთლიანობაში და გამორიცხავს აღრევის შესაძლებლობას კომპანიის „ჰიუნდაი ელექტრიკ კომპანი ლიმიტიდ (სნ)“ (Hyuindai Electric Company Limited (CN)) სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშანთან „HYUNDAI“ (რეგ. N17549, რეგ.თარიღი: 11.06.2007). აპელანტის განმარტებით, განმცხადებელი კომპანია არის ავტონაწილების მეორე დიდი მწარმოებელი სამხრეთ კორეაში და შედის მსოფლიო ჩარხმშენებლობის ლიდერთა რიცხვში წამყვან იაპონურ და გერმანულ მწარმოებლებთან ერთად. კომპანია დაარსდა 1976 წელს. 2005 წელს გაერთიანდა სახარატო– საღარავი აღჭურვილობის ორი წამყვანი სამხრეთ კორეული მწარმოებელი - „KIA HEAVY INDUSTRIES“ და „HYUNDAI Machine Tools“, ჩამოყალიბებულმა კომპანიამ კი მიიღო დასახელება „ვია კორპორეიშენ“ (WIA Corporation), რომელიც გახდა „ჰიუნდაი მოტორ გრუპ“ (HYUNDAI MOTOR GROUP)–ის ქვედანაყოფი. 2009 წელს კომპანიის დასახელება შეიცვალა და გახდა „ჰიუნდაი ვია კორპორეიშენ“ (HYUNDAI WIA Corporation). დღეს, კომპანიას „ჰიუნდაი ვია კორპორეიშენ“ (HYUNDAI WIA Corporation) აქვს თავისი წარმომადგენლობა აშშ–ში, ჩინეთში, ინდოეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე აქვს დილერების საერთაშორისო ქსელი.

განცხადებული ნიშანი არის იმ სასაქონლო ნიშნების სერიის გაგრძელება, რომლებიც დარეგისტრირებულია აპელანტის მონათესავე კომპანიების სახელზე და ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე და არ შეიძლება ქართველი მომხმარებლის მიერ მოხდეს მისი აღრევა სასაქონლო ნიშანთან „HYUNDAI“ (რეგ. N17549, რეგ.თარიღი: 11.06.2007) ამრიგად, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელსა და პროდუქციას, რომელიც მარკირებულია განცხადებული ნიშნით, აქვს მაღალი რეპუტაცია მსოფლიო ბაზარზე, რის გამოც განცხადებული სასაქონლო ნიშნის აღქმისას მე-9 კლასის საქონლის მიმართ მომხმარებელს უჩნდება ასოციაცია მსოფლიოში ცნობილ ბრენდთან და კომპანიასთან, რომლის პროდუქცია ფართოდ არის წარმოდგენილი მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ბაზარზე, მათ შორის საქართველოს ბაზარზეც და სარგებლობს დიდი პოპულარობით.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი არის სიტყვიერი აღნიშვნა, რომელიც შესრულებულია ლათინური ანბანით, ასომთავრულად, სტანდარტული შავი ფერის შრიფტით. ნიშანს აქვს მკაცრი მონოლითური კომპოზიცია, რაც არსებითად განასხვავებს მას განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისაგან. ამასთან, ფერადი გადაწყვეტილებისა და გრაფიკული ცენტრის არარსებობა საწინააღმდეგო ნიშანში აძლიერებს ნიშნებს შორის გრაფიკულ განსხვავებებს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ჰიუნ-დაი“. აღნიშვნა შედგება ერთი სიტყვიერი ელემენტისგან, 2 მარცვალისგან, 6 ბგერისგან (2 ხმოვანი, 4 თანხმოვანი). მნიშვნელოვანია, რომ განცხადებული ნიშნის ძირითადი განსხვავება არის სიტყვიერი ელემენტების, მარცვლების და მახვილების რაოდენობის ნაკლებობა, რის გამოც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ფონეტიკა ხასიათდება სიმოკლითა და ლაკონურობით. სემანტიკური თვალსაზრისით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კორეული ენის ანბანურ ერთეულს და ნიშნავს „თანამედროვეობას“. აპელანტი ასევე განმარტავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქართველოს ტერიტორიაზე გამოყენების შესახებ ინფორმაცია არ მოპოვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 27 აპრილის N1572/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7, მე-9 და მე-12 კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) დაცვის მინიჭებას, ასევე მე-7, მე-9 და მე-12 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №118-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ შეამოწმა აპელანტის მიერ წარმოდგენილი, დეკლარაციები, რომლითაც კომპანიები „ჰიუნდაი კორპორეიშენ (კრ)“ (Hyundai Corporation (KR), „ჰიუნდაი ჰევი ინდასტრის კო., ლტდ. (კრ)“ (Hyundai Heavy Industries Co., Ltd. (KR)) და „ჰიუნდაი მოტორ კომპანი (კრ)“ (HYUNDAI MOTOR COMPANY (KR)) ადასტურებენ, რომ არიან კომპანიის „ჰიუნდაი ვია კორპორეიშენ“ (HYUNDAI WIA Corporation) მონათესავე კომპანიები და თანხმობას აცხადებენ განცხადებული სასაქონლო ნიშნისთვის - „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) დაცვის მინიჭებაზე მე-9, მე-12, მე-13, 37-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალისათვის და მე-7 კლასის საქონლის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „საწნეხი მანქანები; საბურღი პერფეტრატორები 10 კვტ-ზე

ზევით; ლაზერული დამუშავების (სამუშაო) მანქანები; რობოტები; საფრეზავი ჩარხები; წევის ძრავები, სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებლების გარდა; ზეთის ჰიდრავლიკური წნეხები; ამწეები; დამმუშავებელი ცენტრები; საბურღი ჩარხები; სახარატო ჩარხები; (ხის ნაკეთობებზე სამუშაოს გარდა); სამრეწველო დანიშნულების კუთხვილის ამოსაჭრელი მანქანები; ელექტრული მოტორები თვითმფრინიავებისათვის; გაზოლინის ტუმბოები გაზგასამართებისთვის; რელსზე მოძრავი მექანიკური ამწევი კონვეიერები; კონვეიერები (მანქანები); გორგოლაჭიანი კონვეიერები; ლენტური კონვეიერები; დაწყობის მანქანები; ჯაჭვური კონვეიერები; კონვეიერების ხაზები; დატვირთვა-განტვირთვის მანქანები; წნეხები (სამრეწველო დანიშნულების მანქანები); ჩარხები სამრეწველო მიზნებისათვის; მექანიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ჰიდრავლიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ლაზერული საჭრელი მანქანები; საშტამპავი წნეხები; ჟანგბადით საჭრელი მოწყობილობები; საგლინი დგანები; ცხელი წებვის პისტოლეტები; ავტომატური მანიპულატორები (მანქანები); მაღალი ვაკუუმის ინექციური მანქანები; ლაზერული მარკირების მანქანები; სამრეწველო მარკირების მანქანები: გრანულირების მანქანები ავტომობილის დამუშავებისათვის; მანაწილებელი ლილვები.“ (Machine presses; drilling machine over 10KW; laser processing [working] machines; robots; milling machines; driving motors other than for vehicles; oil hydraulic presses; cranes; machining centers; boring machines; lathes (except for woodworking); tapping machines for industrial purpose; electric motors for aircrafts; gasoline pumps for gas stations; mechanical railed lifting conveyors; conveyors (machines); roller conveyors; belt conveyors; stacking machines; chain conveyors; conveyor lines; loading and unloading machines; presses (machines for indu strial purposes); machine tools for industrial purpose; mechanical presses for metalworking; hydraulic presses for metalworking; laser cutting machines; blanking presses; oxygen cutting devices; rolling mills; hot adhesive guns; automatic handling machines [manipulators]; high vacuum injection machines; laser marking machines; industrial marking machines; granulating machines for automobile processing; camshafts).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნებთან „HYUNDAI“ (რეგ. N17425, რეგ.თარიღი: 23/04/2007), „HYUNDAI HEAVY INDUSTRIES CO.,LTD“ (რეგ. N 1095003, რეგ.თარიღი: 11.07.2011), „HYUNDAI HEAVY INDUSTRIES CO.,LTD.“ (რეგ. N 910292, რეგ.თარიღი: 24.10.2006), „HYUNDAI SANTA FE“ (რეგ. N13576, რეგ.თარიღი: 30.10.2000), „HYUNDAI H-1“ (რეგ. N 9428, რეგ.თარიღი: 25.05.1998), „HYUNDAI COUPE“ (რეგ. N 6615, რეგ.თარიღი: 3.09.1997), „HMC HYUNDAI“ (რეგ. N11210, რეგ.თარიღი: 02.12.1998), „HYUNDAI“ (რეგ. N2188, რეგ.თარიღი: 30.05.1996), „HYUNDAI H100“ (რეგ. N10367, რეგ.თარიღი:19.08.1998), „HYUNDAI BlueDrive“ (რეგ. N19178, რეგ.თარიღი: 30.03.2009), „HYUNDAI iX35“ (რეგ. N 19287, რეგ.თარიღი: 29.04.2009), „HYUNDAI iX45“ (რეგ. N19288, რეგ.თარიღი: 29.04.2009), „HYUNDAI iX55“ (რეგ. N19289, რეგ.თარიღი: 29.04.2009), „HYUNDAI i20“ (რეგ. N19474, რეგ.თარიღი: 29.06.2009), „HYUNDAI i40“ (რეგ. N19475, რეგ.თარიღი: 29.06.2009), „HYUNDAI iContact“ (რეგ. N21825, რეგ.თარიღი: 29.09.2011), „HYUNDAI Drive your way“ (რეგ. N 864525, რეგ.თარიღი: 09.03.2005), „HYUNDAI i30“ (რეგ. N919520, რეგ.თარიღი: 28.02.2007), „HYUNDAI i10“ (რეგ. N 939240, რეგ.თარიღი: 21.09.2007), „HYUNDAI ione“ (რეგ. N1049154, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI i45“ (რეგ. N 1049156, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI i35“ (რეგ. N 1049157, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI i25“ (რეგ. N1049159, რეგ.თარიღი: 09.08.2010), „HYUNDAI iContact“(რეგ. N 1050708, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix15“ (რეგ. N 1056919, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix20“ (რეგ. N1056920, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix25“ (რეგ. N 1056921, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI ix30“ (რეგ. N1056922, რეგ.თარიღი: 11.08.2010), „HYUNDAI NEW THINKING. NEW POSSIBILITIES“ (რეგ. N 1068746, რეგ.თარიღი: 05.11.2010) მიმართებით აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული სასაქონლო ნიშნის „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) და „ჰიუნდაი ელექტრიკ კომპანი ლიმიტიდ (სნ)“ (Hyundai Electric Company Limited (CN)) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „HYUNDAI“ (რეგ. N17549, რეგ.თარიღი: 11.06.2007) განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს ნიშნებს. სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) წარმოადგენს ლათინური ასოებით შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შესრულებულია ლურჯ და წითელ ფერებში და შედგება ორი სიტყვიერი ელემენტისაგან. პირველი სიტყვიერი ელემენტი „HYUNDAI“ მოთავსებულია სასაქონლო ნიშნის ზედა ნაწილში, ხოლო მის ქვემოთ, უფრო დიდი ასოებით, მოთავსებულია მეორე სიტყვიერი ელემენტი - „WIA“. მეორე სიტყვიერ ელემენტის „I“ ასოს მარჯვენა ზედა კუთხეში მოთავსებულია პატარა წითელი კვადრატი.

დაპირიპირებული სასაქონლო ნიშანი „HYUNDAI“ (რეგ. N17549, რეგ.თარიღი: 11.06.2007) წარმოადგენს სტანდარტული ლათინური ასოებით შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშნის წითელ და ლურჯ ფერებში შესრულება და დამატებითი სიტყვიერი ელემენტის - „WIA“ არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანს - „HYUNDAI“.

რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს ორივე ნიშანი განცხადებულია მე-9 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშანს „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) უნდა მიენიჭოს დაცვა მე-7 კლასის შეზღუდული და მე-12 კლასის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჰიუნდაი ვია კორპორეიშენ“ (HYUNDAI WIA Corporation) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №118-03/14) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 27 აპრილის N1572/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7 და მე-12 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HYUNDAI WIA“ (საიდ. N77596/03, IR 1205729) მიენიჭოს დაცვა მე-12 კლასისი სრული განცხადებული ჩამონათვალის

მიმართ და მე-7 კლასის შემდეგი ჩამონათვალისათვის: „საწნეხი მანქანები; საბურღი პერფეტრატორები 10კვტ-ზე ზევით; ლაზერული დამუშავების (სამუშაო) მანქანები; რობოტები; საფრეზავი ჩარხები; წევის ძრავები, სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებლების გარდა; ზეთის ჰიდრავლიკური წნეხები; ამწეები; დამმუშავებელი ცენტრები; საბურღი ჩარხები; სახარატო ჩარხები; (ხის ნაკეთობებზე სამუშაოს გარდა); სამრეწველო დანიშნულების კუთხვილის ამოსაჭრელი მანქანები; ელექტრული მოტორები თვითმფრინიავებისათვის; გაზოლინის ტუმბოები გაზგასამართებისთვის; რელსზე მოძრავი მექანიკური ამწევი კონვეიერები; კონვეიერები (მანქანები); გორგოლაჭიანი კონვეიერები; ლენტური კონვეიერები; დაწყობის მანქანები; ჯაჭვური კონვეიერები; კონვეიერების ხაზები; დატვირთვა-განტვირთვის მანქანები; წნეხები (სამრეწველო დანიშნულების მანქანები); ჩარხები სამრეწველო მიზნებისათვის; მექანიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ჰიდრავლიკური საწნეხი მანქანები მეტალზე სამუშაოდ; ლაზერული საჭრელი მანქანები; საშტამპავი წნეხები; ჟანგბადით საჭრელი მოწყობილობები; საგლინი დგანები; ცხელი წებვის პისტოლეტები; ავტომატური მანიპულატორები (მანქანები); მაღალი ვაკუუმის ინექციური მანქანები; ლაზერული მარკირების მანქანები; სამრეწველო მარკირების მანქანები: გრანულირების მანქანები ავტომობილის დამუშავებისათვის; მანაწილებელი ლილვები.“ (Machine presses; drilling machine over 10KW; laser processing [working] machines; robots; milling machines; driving motors other than for vehicles; oil hydraulic presses; cranes; machining centers; boring machines; lathes (except for woodworking); tapping machines for industrial purpose; electric motors for aircrafts; gasoline pumps for gas stations; mechanical railed lifting conveyors; conveyors (machines); roller conveyors; belt conveyors; stacking machines; chain conveyors; conveyor lines; loading and unloading machines; presses (machines for industrial purposes); machine tools for industrial purpose; mechanical presses for metalworking; hydraulic presses for metalworking; laser cutting machines; blanking presses; oxygen cutting devices; rolling mills; hot adhesive guns; automatic handling machines

[manipulators]; high vacuum injection machines; laser marking machines; industrial marking machines; granulating machines for automobile processing; camshafts).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ს. დუმბაძე

ა. დალაქიშვილი